ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №164

გამარტივებული შესყიდვის შესახებ

ჭიათურა 7 ივნისი 2022 წელი

ერთი მხრივ, სსიპ თვითმმართველი ერთეული ჭიათურის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი
მუნიციპალიტეტის მერის გივი მოდებაძის სახით (შემდგომში - შემსყიდველი),
მისამართი: ჭიათურა, ნინოშვილის ქ.№7
საიდენტიფიკაციოკოდი: № 215609544
ტელეფონის ნომერი: 0479 25 10 81
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს
ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშისნომერი:GE89BG0000000951640600
და მეორე მხრივ, შპს „ჯორჯიან ინოვეიშენ თექნოლოჯი“ , წარმოდგენილი მისი დირექტორის ლაშა რუსიეშვილი
სახით (შემდგომში -მომწოდებელი),
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ვაზისუბნის დასახლება, IIა მიკრო/რაიონი, კორპუსი 23, ბინა 39
საიდენტიფიკაციო კოდი: 406192258
ტელეფონის ნომერი: 577377599
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE05BG0000000761687400
შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში — ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1. ხელშეკრულების საგანია 7 ერთეული სამხრე კამერის შეძენა, დანართი №1-ის შესაბამისად.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის CPV კოდია: 32333200 - ვიდეოკამერები

3. ხელშეკრულების ღირებულება

1.1 2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 4760 (ოთხი ათას შვიდასსამოცი ლარი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებულ საქონელზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშსწორებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება ექნება მუნიციპალიტეტის მერიის მე-4 რანგის, პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ხვიჩა მაჭავარიანი.

4.2. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია: ჭიათურა, ნინოშვილის ქ.№7

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება, ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღეში 2022 წლის 14 ივნისის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.

6.5 მიმწოდებელი ვალდებულია მოწოდებულ პროდუქციაზე გაავრცელოს ერთწლიანი საგარანტიო ვადა.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,01%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.7 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ელექტრონული ფორმით.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. შეტყობინება

11.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, უნდა გაიგზავნოს წერილის, ოფიციალური ელექტრონული ფოსტის (შემსყიდველის შემთხვევაში- chiatura.contact@chiatura.gov.ge , მიმწოდებლის შემთხვევაში - ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე: lrusieshvili@gitech.ge .

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2022 წლის 15 ივლისის ჩათვლით.

„შემსყიდველი“

Self Governing Unit of Tchiatura Municipality

Digitally signed by Self Governing Unit of Tchiatura Municipality
Date: 2022.06.07 13:42:41 +04'00'

„მიმწოდებელი“

Lasha Rusieshvili 33001013451

Digitally signed by Lasha Rusieshvili
Date: 2022.06.07 16:23:21

დანართი N1

საქონლის დასახელება	ტექნიკური აღწერილობა	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი
სამხრე კამერა	140 გრადუსი ხედვის კუთხე, მაღალი გარჩევადობის 2-ინჩიანი TFT-LCD ეკრანი; სენსორი: 4M COMS, ინფრაწითელი ნათება, მანძილი საშუალოდ 10 მეტრი; ფოტო გადაღების რეზოლუცია 5 MP // 20 MP / 25 MP / 30 MP; ვიდეო ფორმატი MP4 (H.264 / H.265); ვიდეოს ჩაწერის რეზოლუცია 1440P / 30fps 1296P / 30fps 1080P / 30fps; 720P / 30fps 480P / 30fps; აუდიო ფორმატი WAV; მეხსიერება 64 GB; ჩაწერის დრო ნორმალურ პირობებში საშუალოდ 10 საათი, ვიდეო ჩაწერისას ინფორმაციის დატანა, მფლობელის ID, საათი, თარიღი; ვიდეოს ჩაწერის დაწყების და გათიშვის შეტყობინება; ფლეშ განათება; ენერგიის დაზოგვის რეჟიმი; ვიდეოს ჩაწერისას ფოტოს გადარების რეჟიმი; აკუმულატორის დამუხტვის ინდიკატორი; აუდიო ჩაწერის მაჩვენებელი. სისტემის პაროლით დაცვის ფუნქცია. დაცვის კლასი IP67; აკუმულატორის ტევადობა 3000 mAh, აკუმულატორის ტიპი Lithium; კომპლექტში მოყვება: USB კაბელი, დამტენი, უნივერსალური სამაგრი, მხარზე დასამაგრებელი.	7	680	4760
ჯამი				4760

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჭიათურა 07 ივნისი 2022 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ აღნიშნული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ სამხრე კამერების შეძენის ხელშეკრულება №164 -ის ფარგლებში შპს „შპს „ჯორჯიან ინოვეიშენ თექნოლოჯი“ “-სთან ს/კ 406192258 შესყიდვის განხორციელებაში და მიმწოდებელი კომპანიის შერჩევაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

მუნიციპალიტეტის მერი გივი მოდებაძე